

# ნერილი რედაქციისადმი

იმბანაგო რედაქტორად

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას: გაზეთ „კომუნისტი“ (№ 172) გამოქვეყნდა წერილი სათაურით „უგზო-უკვლო ძიებანი“. ავტორს ის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოს „ლიტერატურული ძიებანი“ მესამე ტომის გამოსვლის გამო უაღუწერია. მოსალოდნელი იყო, რომ წერილის ავტორი შეიწყალოდა „ლიტერატურული ძიებანის“ აღნიშნულ ტომს მთლიანად და შემდეგ გამოიტანდა დასკვნას, რატომღაც ის მხოლოდ ორი (დ. კობიძისა და ს. ყუბანეიშვილის) ნაშრომის გაჩევივით დაკმაყოფილებულა, არ მოსწონებია იინი და გამოტანილია დასკვნა, თითქოს მთლიანად ინსტიტუტის ორგანო „უგზო-უკვლო ძიებანთა“ ორგანო იყოს.

ეთქვით, რეცენზენტის მიერ განხილული ორი შრომა მართლაც არაა მოსაწონი, რა დაამავეს სხვა მეცნიერთა შრომებმა, რომლებიც ამავე ტომშია დაბეჭდილი და რომლებმაც ქართული ენტერის ისტორიის შეწყველისათვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ? ვფიქრობთ, რეცენზენტის დასკვნა აჩქარებულია და არსებითად არამართებული.

ერთი ნაწილი რეცენზენტის მიერ წამოყენებული ბრალდებებისა ეხება ინსტიტუტის ორგანოს ზოგადად, მეორე ნაწილი — მასში მოთავსებულ წერილს, რომელიც დ. კობიძის ეკუთვნის. ამ წერილის ავტორი აღბად, თუთონ გამოეხმაურება მასში აღძრულ დებულებათა კრიტიკას. აღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ იგი უძველესად შეაყვარა, როდესაც ისეთი გამოთქმები და წინადადებანი იხმარა, რომელნიც არასწორ წარმოდგენას იძლევიან ნიშანის ეინაობის შესახებ. დ. კობიძის ასეთი შეყვარება მთ უფრო საეაღალთა, რომ წინა წლებს წერილებში („საბჭოთა ხელოვნება“ 1940 წ. № 1, „ლიტერატურული საქართველო“ 1940 წ. № 2) ის კატეგორიულად ემოჯენებოდა იმ აზრს, თითქოს ნიშანი ირანელი და არა აზერბაიჯანელი პოეტი იყოს. ჩვენ ამ თვალს გვირდა მთხვეულ სწოზადობებს განმარტება მივხეთ იმ ბრალდებათა შესახებ, რომელთაც რეცენზენტი უყენებს „ლიტერატურული ძიებანის“ მესამე ტომს ზოგადად.

1. რეცენზენტი სწერს: „სიტყვის დიდი ოსტატები, რომელთაც წარსულში ხალხის უგულითადესი მიწრაფებანი გამოხატეს, დღესაც ყვლავ ცოცხლობენ... აი რატომ უყვარს საბჭოთა ხალხს ძლიერი სიყვარულით რუსთაველი და პუშკინი, ნიშანი და შევჩენკო, ბარათაშვილი და ლერმონტოვი, აყაი წერეთელი და ოვანეს თუმანიანი... ის ძველდები, რომელიც წარსული ენტერის შესწავლას ამ დებულების გაუთვალისწინებლად იწყებს, სქოლასტიკოსია და არა მეცნიერი“. ასეთი ჩამორჩენილობა, ასეთი სქოლასტიკურობა ახასიათებს თურმე „ლიტერატურული ძიებანის“ მესამე ტომსაც. ავტორს, ცხადია, ვერ შეუნიშნა, რომ ამ ტომის პირველი 188 გვერდი უყავთ მის მიერ დასახელებულ დიდი ქართველი პოეტის ბარათაშვილის შემოქმედებისა

განხილვას, რომ აქ ბარათაშვილის შესახებ ცხრა მეცნიერული გამოკვლევაა მოთავსებული და რომ მთელი ეს ტომი ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმია მიძღვნილია.

2. რეცენზენტი აღნიშნავს დ. კობიძის ერთს „ბრწყვლს“, მისი სიტყვით, „თეორიას“ და აკენის: „აი ასე შემადება“ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ნიშანის თეორიასავე“. ისე გამოდის, თითქოს „ლიტერატურული ძიებანის“ მესამე წიგნი ნიშანის თეორიასთვის საზადისს წარმოადგენდეს არაფერი ამის შგავსა: ეს წიგნი მიძღვნილია, როგორც ვთქვით, ნ. ბარათაშვილის თეორიულადმი და ნიშანის თეორიულთან საერთო არა აქვს რა. დ. კობიძის წერილი ნიშანის შესახებ, როგორც ერთ-ერთი რგოლი მასი ორთქვტალური მუშაობისა, სრულად შემთხვევითია ამ წიგნისათვის.

3. რეცენზენტის ბრალდებით, ინსტიტუტის ორგანო, დ. კობიძის პირით, თითქოს ცდილობს, „ყოველის მხრივ დაუპირისპიროს ერთმანეთს რუსთაველი და ნიშანი“. ძნელი გასაგებია, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო... რა საჭიროა ეამტყიკოთ, რომ რუსთაველი და ნიშანი ერთმანეთის მძლავრი მონააღმდეგენი, მეტოქენი არიან, რომ „რუსთაველი ემოჯენება ნიშანის მთელი მისი პოეტური შემოქმედებით“? დ. კობიძის წერილში ადგილი აქვს არა „და პირისპირებას“, არამედ ორი პოეტის შემოქმედების შედარებითს შესწავლას: ეს საქმებით კანონური და თან საყვარდებულო საჭედა მეცნიერულ ლიტერატურათმცოდნეობაშია. ნ. ტიხონოვის იმ წერილში („Литературная газета“ 1947 წ. № 34), რომლითაც უსარგებლოა თვით რეცენზენტი, ორი პოეტია ერთმანეთთან შედარებული — ნიშანი და ნაუოე. წერილის სათაურიც („Низами и Навои“) ამასვე აჩვენებს. რატომა შესაძლებელი აზერბაიჯანელი ხალხის პოეტის ნიშანისა და უზბეკი ხალხის პოეტის ნაუოის ერთმანეთთან შედარება და რატომ არის ეს შეუძლებელი ქართველი და აზერბაიჯანელი პოეტების მიმართ?

4. სარედაქციო წერილში ეამბობთ: „ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუღროთ იმ ისტორიული მნიშვნელობის მიუღუნებს, რომლითაც ადგილი ჰქონდათ 1946 წელს ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში საყვარო ქ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. რეცენზენტი გაჯავრებულ ტონით კითხულობს: „რა გამოთქმა: „არ შეგვიძლია გვერდი აუღროთ“; რატომ უნდა აველოთ ვითომ გვერდი, ვინ მისცა მათ ამის უფლება?“. შემოსვენებული გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ, მართალია საყვარო ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უშუალოდ მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებას ეხება, მაგრამ მას ვერც ჩვენ, მეცნიერი მუშაეები, აუვლით გვერდს, ის ჩვენც გვეხება და ამ ტომ ჩვენთვისაც საყვარდებულოა.

აკადემიკოსი ქ. ქიქელიძე  
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.